

რელიგიური გრძნობების პატივისცემა, როგორც გამოხატვის
თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი

სამაგისტრო ნაშრომი

ნაშრომის ავტორი: თორნიკე ძიძინაშვილი

ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ძიძინაშვილი

30.06.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია რელიგიური გრძნობების პატივისცემის, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. გამოხატვის თავისუფლება, თავისი არსით, მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია დემოკრატიული და ტოლერანტული საზოგადოებისთვის. მიუხედავად ამისა, იგი არ არის აბსოლუტური. შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად, სტრასბურგის სასამართლო დოქტრინის თანახმად, გვევლინება რელიგიური გრძნობები. 2022 წლის მდგომარეობითაც კი, ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს კანონები, რომლებიც სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობას აწესებს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის. ევროპულმა სასამართლომ, დაახლოებით 28 წლის წინ შემოიტანა რელიგიური გრძნობების ცნება, გამოაცხადა კონვენციის მე-9 მუხლის ნაწილად და შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება. ზემოაღნიშნული დოქტრინა დღემდე ძალაშია და სტრასბურგის სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება აქვს რელიგიური გრძნობების სასარგებლოდ გამოტანილი.

მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა რელიგიური გრძნობების დაცვასთან დაკავშირებით მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და პრობლემურ თემად. იგი მოიცავს ბევრ ბუნდოვანებას და საკმაოდ არათანმიმდევრულია. სამართლის მკვლევრების თანახმად, რელიგიური გრძნობები არ წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის ნაწილს. გარდა ამისა, პრობლემურია რელიგიური მშვიდობისა და სოციალური ღირებულების ტესტის არსიც.

ნაშრომში გაკრიტიკებულია სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა და შემოთავაზებულია ალტერნატიული მიდგომები, რომლებიც შესაძლოა უკეთესი იყოს აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: გამოხატვის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, რელიგიური გრძნობები, რელიგიის თავისუფლება, სტრასბურგის სასამართლო

Abstract

The master's thesis analyzes the basis for respecting religious feelings as a restriction on freedom of expression. Freedom of expression is, by its very nature, an important cornerstone of a democratic and tolerant society. Yet it is not absolute. One of the reasons for the restriction, according to the Strasbourg court doctrine, is religious feelings. Even as of 2022, there are laws in some European countries that impose criminal or administrative legal liability for insulting religious sentiments. The European Court, about 28 years ago, introduced the notion of religious sentiment, declared it part of Article 9 of the Convention, and restricted freedom of expression. The above doctrine is still in force today and the Strasbourg court has rendered a number of rulings in favor of religious sentiments.

Nevertheless, the case-law of the European Court of Human Rights regarding the protection of religious sentiments remains one of the most controversial and problematic topics. It involves a lot of ambiguity and is quite inconsistent. According to legal scholars, religious sentiments are not part of Article 9 of the European Convention. In addition, the essence of the test of religious peace and social value is also problematic.

The paper critiques the Strasbourg court approach and suggests alternative approaches that might be better at eliminating this problem.

Keywords: Freedom of Expression, Freedom of Speech, Religious feelings, Religious sensitivities, Strasbourg court.